ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 11.03.2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება №5

ქ. თბილისი

ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამის აკრედიტაციის ვადის ამოწურვის გამო განახორციელეს შიდა მობილობა, 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საუნივერსიტეტო დაფინანსების მინიჭების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებების - N 01-00/13; 25.09.2015; N48; 05.10.2018 ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოთ სრული სემესტრული საუნივერსიტეტო დაფინანსება - განთავისუფლდნენ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის ვალდებულებისგან 2021 – 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ქვემოთ ჩამოთვლილი სტუდენტებს რომლებმაც ეკონომიკის პროგრამის აკრედიტაციის ვადის ამოწურვის გამო, განახორციელეს შიდა მობილობა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და წინა სემესტრი დაასრულის მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად):

<u>ა) ბალანჩივაძე თინათინი</u>

<u>ბ) სოლოღაშვილი მერცია</u>

<u>გ) გიუნაშვილი მაგდა</u>

2. ბრძანების შინაარსი აისახოს სტუდენტთა საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზაში დაევალოს სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. განთავსება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

4. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
იაკობი (იაკობიშვილი) + მთავარ. იაკობი